აღმოსავლეთ ტიმორში ასობით შეჭირვებულმა ოჯახმა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისგან პროდუქტებით დახმარება მიიღო



მოსკოვის საპატრიარქოს საქველმოქმედო და სოციალური მსახურების სინოდალურმა განყოფილებამ აღმოსავლეთ ტიმორში შეჭირვებული ადამიანებისთვის პროდუქტების შესყიდვისა და მიწოდებისთვის შემოწირული თანხა გადარიცხა. შემოწირულობა შეგროვდა საიტზე – «Антивирус Милосердия». დამხარება მიიღო 378-მა შეჭრვებულმა შვილიანმი ოჯახმა.

„საქველმოქმედო სინოდალური განყოფილების წყალობით აღმოსავლეთ ტიმორში უკვე მეორედ

ჩატარდა საჭიროების მქონეთათვის პროდუქტების კომპლექტების გადაცემის აქცია. 6000 $-ად, რომელიც ტაიბეის ჯვართამაღლების სახელობის ტაძრის სამრევლოს გამოეყო, შეძენილ იქნა 10 206 კილოგრამი პროდუქტი. ძირითადად დახმარება მიიღეს მრავალშვილიანმა ოჯახებმა, ისინი მრავლად არიან აღმოსავლეთ ტიმორში, მაგრამ, რა თქმა უნდა, თუკი ჩვენ შეჭირვებული, მაგრამ ერთშვილიანი ოჯახი მოგვმართავდა, ჩვენ მათ უარს არ ვეუბნებოდით დახმარებაზე“, – ბრძანა ჯვართამაღლების ტაძრის წინამძღვარმა მღვდელმა კირილე შკარბულმა.

შეჭირვებულთათვის გადასაცემი თითოეული კომპლექტი შედგებოდა 25 კილოგრამი ბრინჯისა და მზესუმზირის ზეთის ორ ლიტრიანი ბოთლისგან. მისაწოდებელი სიები იქმნებოდა თანდათან შეჭირვებულებზე არსებული ინფორმაციის მიხედვით, რომლებსაც მისიონრები ადგენდნენ სხვადასხვა რეგიონში.

„ბევრ რეგიონამდე მიღწევა პრობლემატურია, განსაკუთრებით პანდემიის პირობებში, მაგრამ ჩვენ, სირთულეების მიუხედავად, ჩავდიოდით ყველა რეგიონში, სადაც პირდაპირ შეჭირვებულთა სახლებთან ვახდენდით პროდუქტების კომპლექტების გადაცემის ორგანიზებას. პროდუქტის ტრანსპორტირებისთვის საქველმოქმედო სინოდალურმა განყოფილებამ დამატებით 123 ათასი რუბლი გამოყო. ამან დააჩქარა საჭიროების მქონეთათვის პროდუქტის გადაცემა“, – აღნიშნა მამა კირილემ.

საქველმოქმედო და სოციალური მსახურების სინოდალურმა განყოფილებამ 2020 წლის ივლისშიც აღმოუჩინა დახმარება აღმოსავლეთ ტიმორის შეჭირვებულ ოჯახებს.

***

პანდემიის დაწყებისას რუსეთსა და სხვა ქვეყნებში უამრავი ადამიანი აღმოჩნდა მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში. მრავალ ეპარქიაში აღნიშნავენ დახმარების მთხოვნელთა რაოდენობის საგრძნობ მატებას.

პროდუქტებისა და პირველადი აუცილებელი ნივთების შეძენისთვის შეწირულობის შესაგროვებლად დახმარება იმ ადამიანებისთვის, რომლებიც აღმოჩნდნენ უკიდურესად შეჭირვებულ მდგომარეობაში შესაძლებელია საიტზე – **http://eda.help**.

ადრე სახსრებით, რომელიც საქველმოქმედო და სოციალური მსახურების სინოდალურმა განყოფილებამ საიტების – **«Милосердие.ру»**-სა და **«Антивирус Милосердия»**-ს დახმარებით შეაგროვა, საპროდუქტო დახმარება გადაეცა ბარნაულის, ბეჟეცკის, ბიისკის, ბირსკის, ბიშკეკსკის, ბრატსკის, ბუზულუკსკის, ველიკოლუკსკის, ვიატკის, გატჩინსკის, ივანოვო-ვოზნესენსკის, იჟევსკის, კინელის, კოზელის, კრასნოიარსკის, კურგანის, მარიინსკის, მიჩურინსკის, ნახოდკინის, ნეფტეკამსკის, ნიჟნეტაგილსკის, ნოვოკუზნეცკის, ორსკის, ოტრადნენსკის, რჟევის, სკოპინის, სიზრანის, ტიხორეცკის,

ტომსკის, ფეოდოსიის, ფილიპინ-ვიეტნამის ეპარქიებს; გაიგზავნა აგრეთვე აღმოსავლეთ ტიმორში. ორჯერ საპროდუქტო დამხარება აღმოუჩინეს სალავატისა და ტვერის ეპარქიებს. ურიუპინსკის ეპარქიაში შეჭირვებულებმა პროდუქტი და ჰიგიენური კომპლექტები მიიღეს.

პანდემიის პერიოდში ეკლესიის დამხარების შესახებ აქტუალური ინფორმაცია განთავსებულია სპეციალურ საიტზე – **https://cerkpom.miloserdie.ru/**

სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური

საქველმოქმედო და სოციალური მსახურების სინოდალური განყოფილების საიტის ინფორმაციის მიხედვით

წყარო: https://mospat.ru/ge/news/87881/